

დედაენის ზეიში 129-ე საჯარო სკოლაში



## „ჩვენს აკვანს შემოძღვარნი მგალობელი ფრინკელი“

ყოველი წლის 14 აპრილს საქართველოში დედაენის დღე აღინიშნება.

სიკოსების გამონათქვამები, ასევე, ისაუბრეს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო


ლიურ ენას“ – აღნიშნეს მოსწავლეებმა. ამით „ენის, მამულის, სარწმუნოების“ დაცვის აუცილებლობას გაუსვეს ხაზი.

ლონისძიებაზე IV<sup>3</sup> კლასის მოსწავლეებმა წაიკითხეს ირაკლი აბაშიძის ლექსი „ხმა კატამონთან“. საღამოს ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდა დაწყებითი კლასის პედაგოგი მედეა მერაბიშვილი; მას მხარს უმხვენიდა V<sup>3</sup> კლასი, ხელმძღვანელი – ქეთევან იმერლიშვილი. VI<sup>1</sup> და X<sup>1</sup> კლასებმა უფრო გაალამაზეს საღამო – დამრიგებელი

პედაგოგების შეფასებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია VII<sup>1</sup> კლასელთა (ხელმძღვანელი – ქეთევან ქერაშვილი) მონაწილეობა და სიბეჯითე, მათ სცენაზეც გამოიჩინეს თავი დ 11 კედლის გაზეთი მოამზადეს (წლის ბოლოს საპრეზენტაციოდ). დედაენის დღის აღსანიშნავადა კი, შესანიშნავი გაზეთი წარმოადგინეს – ასომთავრული და მხედრული დამწერლობით.

ჩინებულად მუშაობს სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა (ხელმძღვანელი ნინო

ლადო ასათიანი



## ქართული ენა

საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, სიყვარულის, ლექსის, სადღერძელის ენავ! მოიმღერა დღემდის უძველესმა ტომმა შლეგი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხლტომა, მყინვარების ღვთიურ ბრწყინვალეობით დნობა, ჯაგნარებში ირმის ჯოგის ნავარდობა, გაფანტული ფარის მთაზე დაჯანღება და ქართული ფარის ფარზე დაჯახება! უძველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა, მწიფე პურის ყანა ქარში როგორ დელავს... საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, ხმათა ხვედრების და ღმერთების ენავ!



ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები პირველ რიგში იმართება სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში.

ენის მნიშვნელობასა და მის ისტორიაზე.

თბილისის 129-ე საჯარო სკოლაში, დირექტორის ეკატერინე ხიჯაკაძის ინიციატივით, დედაენის დღისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარდა, რომელშიც სკოლის წარჩინებული მოსწავლეები მონაწილეობდნენ. ეს იყო დემონსტრაცია მოსწავლეთა აქტივობისა და ჩართულობისა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში.



ეკატერინე ხიჯაკაძე: დედაენის დღეს სკოლაში ყოველწლიურად ეფექტიანად აღვნიშნავთ. მართალია, წლებიდან წლები მოკრძალებული გამოვიდა, მაგრამ, რაც მთავარია, ჩვენმა ბავშვებმა პატივი მიაგეს დედაენის სიყვარულს. ეს არის ის განძი, რომელიც ქართველ კაცს მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვება. მოსწავლეებმა დიდი წვლილი შეიტანეს ამ ღამეში დღის აღნიშვნაში.

„ქართულმა ენამ დიდი და რთული გზა გამოიარა,

ნანა მესხიშვილი. VII<sup>1</sup>-VIII<sup>1</sup> კლასელებმა – ქართული

ხუციშვილი), რომელმაც 2017-18 სასწავლო წელს



საღამოზე მათ წაიკითხეს ლექსები და მშობლიური ენისადმი მიძღვნილი კლა-

ჩვენმა წინაპრებმა დღემდე შემოგვინახეს დედაენა. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ და პატივი ვცეთ ჩვენს მშობ-

ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ნინო ხუციშვილის ხელმძღვანელობით მეტი ხიბლი შემოიტანეს.

მოამზადა პროექტი სახელწოდებით: „იუბილარი მწერლები“, სადაც ჩვენი კლასი-

მასწავლებლებო, ითანამშრომლოთ ჩვენთან!

გაგრძელება მე-2 გვ. →

დაზვიავთ ილიასეული: „მამული, ენა, სარწმუნოება!“

# გალაფრებული და დედამისი სიყვარულის გალამაზება

გალაფრებული ულამაზესი სოფელია მცხეთის რაიონში და მას კიდევ უფრო ლამაზი საჯარო სკოლა ამშვენებს. ამ წერილ-

სწავლე ახალგაზრდობა. ამიტომ, რომ აქ მალაღობა სწავლების ხარისხი. ამის შესახებ ჩვენ ადრე ვრცლად ვწერდით „სახ-

გოგი თამრიკო ამირხანაშვილი. მდიდარი გამოცდილება აქვს ქალბატონ თამრიკოს. მას თბილისის მე-15 საჯარო სკოლაში (რომელიც, სამწუხაროდ, დიდი ხანია მაშინდელი მთავრობის უნიათობით გაუქმებულია)

წარმოვადგინოთ ღონისძიების მსვლელობა, მაგრამ ფაქტია, უმაღლეს დონეზე ჩატარდა იგი, უფრო ლამაზად და შთამბეჭდავად, ვიდრე თბილისის ბევრ საჯარო სკოლაში. (ბევრში არც კი აღუნიშნავთ). წარმოდგენილ ფოტოებში კარგად შეიმჩნევა მკითხველი ღონისძიების ემსხა და ლაზათს.

ლამაზეზე, მის მსოფლიო მნიშვნელობასა და მდიდარ ბუნებაზე. მაყურებელი მოხი-



ში სიკობტავეზე უფრო მნიშვნელოვან თემაზე გვექნება საუბარი. მოსახლეობა გამოირჩევა პრომისმოყვარეობით, მამულის სიყვარულით, წინაპართა დაფასებით.

ალხო განათლება+ -ის ა.ნ.14 მარტის ნომერში.

ახლა კი პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. აქ საიუბილეო თარიღს არ ელოდებიან დაწყებითი კლასებისა და ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლები კათედრის ხელმძღვანელები: **მაია ფეიქროშვილისა და ნინო კვანტალიანის** მეთაურობით. შესანიშნავად ასწავლიან და აყვარებენ ყოველდღიურად მოზარდებს იაკობისა და ილიას ენას. 14 აპრილისთვის - **დედაენის დღისთვის** კი საგულდაგულოდ მოემზადნენ. მოემზადნენ მოსწავლეებიც და იცით, საერთოდ რა ეფექტიანია ეს მზადების პროცესი? - ხარისხიან ცოდნას იძენენ, ფართოვდება მათი შემეცნებითი თვალსაზრისი.



ბევრი ბრწყინვალე სასწავლო-შემოქმედებითი ღონისძიება აქვს ჩატარებული. დედაენის

მოკლედ მაინც ვიტყვით: დედაენის ზემს წინ უძღოდა აქტიური კვირეული.

14 აპრილს კი ჩატარდა დასკვნითი ღონისძიება. მოსწავლეებმა კარგად იციან **გრიგოლ ორბელიანის** გაფრთხილება: „**რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს, წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას, ლაღო ასათიანის** სტრიქონები: „**საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, ხმათა ხვევრდების და ლმერთების ენავ**“, **გიორგი ლეონიძის** „დედაენა“, **ირაკლი**



ბლა ეროვნულმა ცეკვებმა, სიმღერებმა. საოცრება იყო სკოლის ანსამბლი „**დავითიანი**“.

**თამარ ამირხანაშვილთან** ერთად მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ ღონისძიების სულისჩამდგმელები: **ლიანა გაბიდაური, ხატია კობახიძე, ნათია წინამძღვრიშვილი.**

„სახალხო განათლება +“-ის რედაქცია უერთდება თქვენს საზეიმო განწყობილებას და ყველა მონაწილეს მადლობას უხდის, გალავნელებო!



ამ ზეიმზეც გამოჩნდა **თამრიკო ამირხანაშვილის** უზადო ორგანიზატორული უნარი. ჩვენ არ გვეძლევა საშუალება ვრცლად

აბაშიძის „**ხმა კატამონთან**“ და ბევრი სხვა.

ისაუბრეს ქართული ენის წარმომავლობასა და სი-

**ბორის მიშველაძე,** პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

## დედაენის ზეიმი 129-ე საჯარო სკოლაში

დასაწყისი I გვერდიზე



თოვანა და დიდი ოვაციები გამოიწვია, რადგან მათი ასაკისთვის რთულ დავალებას შესანიშნავად გაართვეს თავი. მაყურებელთა განსაკუთრებული სიმპათია დაიმსახურა წარჩინებულმა მოსწავლემ **ბექა ბადალაშვილმა.**

აქ დირექტორი და პედაგოგები ახალი მინისტრის ახალ ინიციატივებს, ახალ პროექტებს სანიმუშოდ ახორციელებენ. ძირითადი პრიორ-



ნიმე თვის წინათ **ილია ქავჭავაძისადმი** მიძღვნილი გრანდიოზული ღონისძიება, სადაც VIII კლასელებმა დიდი მწერლის შემოქმედების საფუძვლიანი ცოდნა გამოამყვანეს, ასევე სცენაზე გააცოცხლეს ყველასათვის საყვარელი გმირები: **ლუარსაბი, დარეჯანი, მეფე დემეტრე თავდადებული, ოთარანთ ქვრივი, გიორგი, არჩილი, კესო.** ბავშვების მსახიობურმა ოსტატობამ ყველა აღაფრ-



იტეტი მაინც **დისციპლინა** და **ხარისხიანი განათლებაა.** დირექტორის და პედაგოგების ინიციატივით, სკოლაში შემოქმედებითი ღონისძიებები სამომავლოდაც გაგრძელდება, რაც უთუოდ აამაღლებს სწავლა-აღზრდის ხარისხს. სასწავლო წლის მაღალ დონეზე დასრულებას გისურვებთ, 129-ე სკოლელებო!

**მზია ბოზოძე**

# ილიასკული მკვრივი პანაშენი

**ბიბლიით**, დასაბამიდან დე-დამინაზე ერთადერთი ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ ძმამ მაინც დაღვარა ძმის სისხლი;

ისტორიის მამად ცხებული ჰეროდოტე წერდა, მამები უკმაყოფილონი არიან შვილებით;

ვგონებ, ვასილ სუხომლინსკის ჰკითხა ახალგაზრდა წყვილმა, როდიდან დავიწყეთ შვილის აღზრდაო. რამდენი წლისაა თქვენი ბავშვიო, უკითხავს მას. სამისო, იყო პასუხი. მაშ, სამი წლით დაგვიანებით, მიუგია დიდ პედაგოგს.

ანუ, აღზრდას საწყის-სასრული არა აქვს. იგი დროის ვერანაირ ჩარჩოებში ვერ ეტყევა. კი, არის ოფიციალური ინსტრუქციები, მეთოდოლოგია, ცირ-კულარები, რეკომენდაციები, მაგრამ ყოველივე ამას შემოქმედებითად გააზრება, ყოველ აღსაზრდელზე ინდივიდუალურად მორგება და ისე განხორციელება სჭირდება, რადგან სასწავლო-აღმზრდელითი პროცესი, შეიძლება ითქვას, უკიდევანოა და პედაგოგი რაც უფრო მეტ თავისას, სულსა



თერგი. ხელთ სურათების ორი დასტა მიპყრია. პირველი 2010 წელსაა გადაღებული. სკოლაში – ექსტერიერი და ინტერიერიც ნაომარსა ჰგავს. მეორე – 2012 წლისაა. ან კი, ეს მეორე დასტა რაღაში მჭირდებოდა, როცა თავად ვხედავდი თითქმის



2010 წელი

დაუფერებელს – სულ ორიოდ წელიწადში სკოლა ავ თვალს არ ენახება: განათლების სამინისტროს დაფინანსებით, სკოლის ბიუჯეტითა და სხვადასხვა პროექტით, ფაქტობრივად, ლამის „მკვდრეთით აღდგა“.

სწორედ 2010 წელს აირჩია სამეურვეო საბჭომ დირექტორად ქალბატონი **თამარ გურამიძე**, ვისაც დირექტორობის უკვე 35 წლის გამოცდილება აქვს და არც შემცდარა. თავმდაბალ ქალბატონს კი არ უყვარს თავის წარმოჩენა, მაგრამ მის ნაცვლად

საქმე ღალადებს – ხომ ცხადია, რაც დგას ამ ორი წლის მიღმა?

სათანადო პირობების გარეშე, რაგინდ მცოდნე და გამოცდილიც იყო, გარჯის მარგი ქმედების კოეფიციენტი განუღწერა მანამდე ნაკლები იქნება. პაგანინის სტრადივარიუსის ვიოლინო რომ არ ჰქონოდა, ასეთი ვირტუოზი ვერ იქნებოდა. ამიტომ სკოლამ, უდიდესი შრომის ფასად, თითქმის დაუფერებლად მინიმალურ დროში მოაწესრიგა ინფრასტრუქტურა და მათი ღვანლის მარგი ქმედების კოეფიციენტიც განუღწერა შრომის ტოლფასი გახდა.

გარემონტდა ექსტერიერი და ინტერიერი, ჰოლოები, სველი წერტილები, სპორტული დარბაზი, რესურს-ოთახი, სადაც სპეცგანათლების საჭიროების მქონე, მიმედიაგნოზიან 21 ყმაწვილს 3 გამოცდილი პედაგოგი ემსახურება, საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, საკონფერენციო დარბაზი –

პედაგოგთა და მოსწავლეებისთვის, სადაც მრავალი უაღრესად საინტერესო და აქტუალური ღონისძიება იმართება, გარე განათება. არის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, უცხო ენების, ხელოვნების, მუსიკის, სამოქალაქო განათლების კაბინეტები.

ამ ზაფხულსაც, განათლების სამინისტროს დაფინანსებით, მთლიანად შეიცვლება სახურავი.

ცხადია, დირექტორს მხარში უდგას მთელი კოლექტივი, გამოცდილი, საქმეზე შეყვარებული მოადგილეები: ქალბატონები **ნანა ლეშკაშვილი** და **იზა ჩუთლაშვილი**.

ძალზე გაუჭირდათ გამორჩეულ პედაგოგთა დასახელება, რადგან სკოლა გუნდურ-ინდივიდუალურად მუშაობს. ყოველი მასწავლებელი მონოდეტის სიმალღებზეა, მაგრამ ქალბატონმა ნანამ მაინც გაუწია ანგარიში ჩვენს თხოვნას და უკეთესთაგან უკეთესნი დაგვისახელა: **ირმა პაპუაშვილი** – დანაწილები; **ქეთევან ალექსიშვილი** და **სოფიო ბებურაშვილი** – ქართული ენა და ლიტერატურა; **დალი ჯანაშვილი** – გეოგრაფია. მისი მოსწავლეებიდან ყველა წარმატებით აბარებს „კატას“ გამოცდებს. სამგორის რაიონის გამგებამ წარმატებული მოსწავლეების სიგელი და ფასიანი საჩუქარი გადასცა.

ერთ-ერთი პრიორიტეტი დისციპლინა და უსაფრთხო გარემოს შექმნაა, რისთვისაც ერთობლივად მუშაობენ დირექცია, კლასების ხელმძღვანელები, მანდატურის სამსახური, მშობლები. და მთელი ეს მუშაობა არა მენტორულად, ბრძანებების გაცემით წარმართება, არამედ მოსწავლეებთან ურთიერთგაგების,



ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთნდობის პრინციპით. ჰარმონიული აღზრდა ზნეობრივ-მორალურსაც გულისხმობს. 152-ე სკოლაში ყმაწვილებს მოყვასის სიყვარულს,

უფროსთა ღვანლის დანახვა-დაფასებით ზრდიან. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით – და ეს ძალზე მნიშვნელოვანია – შეგროვდა სურსათ-სანოვაგე და უბნის მარტოხელა გაჭირვებულ მოხუცებს შინ მიართვეს (ანუ, ისინი აღრიცხულნი ჰყავთ); ამ ქველმოქმედებაში სხვა სკოლებიც „შეიამხანგეს“. დირექციისა და თვითმმართველობის ერთობლივი ძალისხმევით, „კათარზისის“ მოხუცები იწვიეს და დაუფინანსარი საღამო გაუმართეს. ეს უკვე ტრადიციაა და ყმაწვილებს



2012 წელი

ამის მაღლი მთელი სიცოცხლე გაჰყვებათ.

ეძიებენ და ჰპოვებენ მეთქი. ასე დამყარდა კავშირი თურქეთის კოორდინაციისა და განვითარების სააგენტო „თიკასთან“. მან 500 მოსწავლეზე გათვლილი დიდებულად აღჭურვილი სააქტო დარბაზი გაუმართა. **იუნესკო**ს სახელობის თურქული კულტურის ცენტრმა და თურქეთის საელჩომ კი თურქული ენის კაბინეტი გახსნა. სკოლაში უკვე მეხუთე წელია არჩევით საგნად ისწავლება თურქული ენა. 23 აპრილს 152-ე სკოლის ერთი პედაგოგი და 3 მოსწავლე გაემგზავრება **სტამბულში**, სადაც 50 ქვეყნიდან ჩასული ყმაწვილები თავისი ქვეყნიდან ჩატანილი წყალ-ფეკლით მშვიდობის პურს გამოაცხობენ. მეორე ჯგუფი კი – მასწავლებელი და 9 მოსწავლე – ამავე მისიით ქალაქ **ამასიაში** ჩავა.

შარშან „სმარტისა“ და „კინგის“ მათემატიკის ოლიმპიადებში, შესაბამისად, გაიმარჯვეს **მარიამ ყიფშიძე** და **ელენე ტეტელოშვილი**, **ლუკა ლლონტი** კი განათლების სამინისტროს მიერ ქართულში გამართულ ესეების რესპუბლიკურ კონკურსში მეორე იყო. შარშან ორი ოქროს მედალოსანი ჰყავდათ. წლეულს მედლების 5 კანდიდატია.

14 მარტს, „ვერესის“ ორგანიზებით, ყოველწლიური მასშტაბური მათემატიკის ფესტივალი გაიმართა. იგი მსოფლიოში აღიარებულ მათემატიკურ დღესასწაულს „**π-ს დღეს**“ ( $\pi=3.14$ ) დაემთხვა.

ფესტივალის მიზანია მათემატიკის პოპულიზება;

სკოლების წარდგენა საზოგადოებრიობისათვის; სასკოლო ცხოვრების გახალისება და გამრავალფეროვნება; სკოლის მოტივირების ამაღლება; კრეატიული იდეების წახალისება.

152-ე სკოლის მათემატიკის მასწავლებლის **თეა გორჩაშვილის** ხელმძღვანელობით, შარშან, შიდა სასკოლო ტურში, 8 ბავშვი შეირჩა. **თამარ კობახიძე** **π** რიცხვის ყველაზე მეტი – 207 ციფრი დაასახელა და გაიმარჯვა კიდევ. წლეულს 12 ყმაწვილი შეირჩა. კვლავ თამარმა იმარჯვა. ამჯერად მან **π-ის 576 ციფრი** დაასახელა, მაგრამ მაინც

11 ადგილს დასჯერდა, რადგან ვეკუას სახელობის მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლის მოსწავლემ – 589 დაასახელა, მაგრამ

152-ე სკოლაში ხომ მათემატიკას გაძლიერებულად არ ასწავლიან?! **ლუკა ტყეშელავამ** კი რუბიკის კუბიკის აწყობაში გაიმარჯვა.

სკოლა მონაწილეობას მიიღებს კომაროვის სახელობის სკოლის კურსდამთავრებულთა – ყოფილი ოლიმპიელების



მიერ ორგანიზებულ მათემატიკის ოლიმპიადებშიც. მასში გამარჯვებულნი საერთაშორისო ასპარეზზე გავლენ.

შარშანდელმა ე. წ. ეროვნულმა გამოცდებმა ცხადყო ტექნიკურ საგნებში კურსდამთავრებულთა სავალალო ცოდნა. ამ ფონზე მით უფრო სასიხარულოა 152-ე სკოლელთა ასეთი აქტიურობა და წარმატებები მათემატიკაში.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება 152-ე საჯარო სკოლის შემოქმედებით, გამრჯე პედაგოგთა კოლექტივზე, მათ ყოველდღიურ მიზანმიმართულ შრომაზე, მაგრამ ეს ძალზე გაგვირძელებდა სიტყვას. დავიცადოთ. გვჯერა, გამოხდება ხანი და აუცილებლად შემოგვთავაზებენ სიახლეებს. ზემოთ ხომ ვთქვი, ილიასეული თერგი გამახსენდა-მეთქი. დავიცადოთ და აუცილებლად იქნება კვლავ პროგრესი.

**კონსტანტინე გურგენიძე**

და გულში გამოტარებულს ჩააქსოვს მასში, შედეგით უკეთესი იქნება.

თბილისის 152-ე საჯარო სკოლის მართლაც თვალსაჩინო წარმატებებზე ამ ორი წლის მანძილზე რამდენჯერმე წერდა ჩვენი გაზეთი.

და, აი, კიდევ ერთი წერილი.

რატომ? სათქმელად მარტივია, შესასრულებლად კი ძალზე რთული: პედაგოგიკური მიღწეულით არ კმაყოფილდება. გამუდმებით ეძიებს და ჰპოვებს კიდევ ამ უკიდევანო სასწავლო-აღმზრდელითი პროცესის ახალ-ახალი მიგნებებით შევსების გზებსა და საშუალებებს. შემოქმედებითად, ყოველი აღსაზრდელის ინდივიდუალობის გათვალისწინებით ნერგავს ზემოხსენებულ მეთოდებსა თუ რეკომენდაციებს, რაც აქაური მასწავლებლების მხოლოდ მათეული ხელწერაა. სწორედ ეს გახლავთ პროგრესი. ძალაუფლებურად გამახსენდა ილიასეული

# ჩვენს კურსს დაეხმოს სხვის



ური თავისებურებანი და ახლა, დირექტორის სიმალლიდანაც, პროფესიონალისთვის კარგად ჩანს ყოველი ხარვეზი. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ერთხელ მრუდედ ნასული ნერვის გასწორება რთულია, ხან კი – შეუძლებელიც. ე. ი. დირექტორი მთლიანად „ფლობს“ და აკონტროლებს სასწავლო-აღმზრდელი პროცესს დასაწყისიდან – დასასრულამდე.

ერთ-ერთი ყველაზე აქტიური, თანამედროვეობის ანტიპოდი ლოზუნგი საგულდაგულოდ მიჩქმალეს: „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“ დაგვანელა დილეთანტების პარპაშმა, გააპარტახა ქვეყანა. თითქოსდა, რა მარტივია, პური მეპურემ უნდა გამოაცხოოსო, მაგრამ მე-პურეს რომ არ აკარებენ თონესა თუ ფურნეს?

უვიცობა, დილეთანტიზმი ყველა დარგში დამლუპველია, მაგრამ განსაკუთრებით სავალალო განათლების სფეროშია, რადგან აწყობის ხომ ღუპავს და მომავალსაც უთხრის ძირს.

ამიტომაც დასაფასებელი, დასანახი და დასაფასებელი განათლების სისტემაში მომუშავე ყოველი პროფესიონალი. მათ მხრებზე დგას უსათუთესი და სწორედ რომ ხელიხელსაგომანებელი საქმე – სამშობლოსათვის მცოდნე, ზნეობრივად მდგრადი, პატრიოტი თაობების აღზრდა.

თბილისის 90-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი **თამარ მელიქიძე** პროფესიონალია. პროფესიონალია ჯერ განათლებით: დაამთავრა თსუ-ის ქიმიის ფაკულტეტი;

როგორ აისახება პრაქტიკულად ეს გამოცდილება სასწავლო-აღმზრდელი პროცესში? როგორ მუშაობს 90-ე სკოლის პედაგოგთა კოლექტივი, ვისი დამსახურებაც ყოველ წარმატებაში ძალზე ტყვედაა?

ამ სასწავლო წელს ეროვნულ ოლიმპიადაში 44 მოსწავლე მონაწილეობდა. მეორე ტურში – 6 გადავიდა. **ლაშა ჭანტურია** და **მარიამ პაპაშვილი** – მათ კი გაიმარჯვეს (რუსული ენა).

ყმანელები გამუდმებით მონაწილეობენ „კინგისა“ და „ევერესტის“ ოლიმპიადაებში, ჯილდოვდებიან სხვადასხვა ხარისხის დიპლომებით. **ნიკოს კარაჩაევმა**, **მათე** და **ერეკლე ბერიძემ** კი პირველი ხარისხის დიპლომები მოიპოვეს.

ინტელექტუალურ თამაშ „ტვინების ბრძოლაში“ გამოჩენილი გონიერებისთვის სკოლის სამი გუნდი – 14 მოსწავლე –

ვა კლასში სწავლობენ, ანუ, შეიძლება ითქვას, 90-ე სკოლაში სწავლა მთლიანად მაღალ დონეზე წარმართება.

მშობლიური კულტურის, ლიტერატურის, ისტორიის უკეთ შესწავლა-გაცნობიერებისკენაა მიმართული ისტორიის პედაგოგ **მარინე პიტურაშვილის** ხელმძღვანელობით მოსწავლეთა წარმატებული მონაწილეობა მერიის მიერ გამოცხადებულ პროექტში „საზაფხულო სკოლა“ თემით – „ვეფხისტყაოსნის ახალი სიცოცხლე“. ყმანელებმა გამოსცეს ზირის ილუსტრაციების ფერადი ალბომი და კალიგრაფიული ნიმუშები. ეს ნოვატიური პროექტი იყო.



ქალბატონი მარინეს ხელმძღვანელობითვე მონაწილეობს სკოლა სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამაში პროექტით – „როგორ ვიცხოვრებთ მეოცე საუკუნეში“.

ისტორიის მასწავლებლის – ქალბატონ **თინათინ ბარბაქაძის** ხელმძღვანელობით, მეცხრე კლასის მოსწავლეები: **ნინო მელაძე**, **გრეტა ბერიძე**, **ელენე კაპანაძე**, **გიორგი ჯავახვილი**, **ლუკა ტრაპაიძე** და **თამარ მარაქველიძე** მონაწილეობენ პროექტში – „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **ნინო ომსარაშვილმა** მეთერთმეტე კლასში ჩაატარა გაკვეთილი თემაზე – ცოდვა-მადლის სიმძიმე აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ მიხედვით. სადემონსტრაციოდ „ხე ცნობადისა“ გამოიყენეს. მოსწავლეებმა გამოხატეს დამოკიდებულება პერსონაჟების მიმართ.

ქიმიის პედაგოგ **ირმა ქერეჭაშვილის** ხელმძღვანელობით იპაექრეს მოსწავლეებმა ვიქტორინაში „რა, სად, როდის?!“.

აშშ-ის საელჩოს მიერ ჩატ-



შემდეგ – გადამზადება (მეორე ფაკულტეტი) დაწყებითი კლასების პედაგოგთათვის. პროფესიონალია მუშაობის გამოცდილებით: ქიმიის ასწავლიდა მე-7, მე-9, 44-ე საჯარო სკოლებში, იყო 190-ე სკოლის დირექტორის მოადგილე; კერძო სკოლაში პედაგოგობდა დაწყებით კლასებში. 2007 წლიდან 90-ე სკოლის დირექტორია. 2010 წელს ამ სკოლას 121-ე სკოლა შეუერთდა, დირექტორად იმ სკოლის დირექტორი დაინიშნა, მაგრამ 2014 წლიდან ქალბატონი თამარი კვლავ დირექტორია.

მამ, განათლებითა და მუშაობის გამოცდილებით აშკარად პროფესიონალია. ერთ ფრიად მნიშვნელოვან ნიუანსსაც ჩაუუკვირდეთ: ქალბატონი თამარი დაწყებითი კლასების პედაგოგობისთვისაც მოემზადა. ანუ, სურდა რაც შეიძლება მეტად ყოფილიყო მომზადებული პედაგოგობისათვის – სულ სხვა დაწყებითი კლასების პატიარების ფსიქოლოგიურ-ფიზიოლოგი-

ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდა.

შარშან ოქროს – სამი და ერთი ვერცხლის მედალოსანი ჰყავდათ, შესაბამისად, **ნატო აფციაური**, **მარიამ შავშიშვილი**, **თინათინ ფინაძე** და **ფენია მურადოვი**. ნლეულს ოქროს მედლის კანდიდატი **დეა ზურაბიშვილია**,



ვერცხლისა – ანა არუდოვი და ანა შავკაციშვილი.

წარმატება – წარმატებად, მაგრამ საყურადღებო ისიცაა, რომ ეს მოსწავლეები სხვადასხ-

არებულ სემინარში – „მედიანინგირება“ მონაწილეობდა სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ქალბატონი **გულნაზ ძიძიგური**.



საქართველოს სახელმწიფო ენის მასწავლებელთა ასოციაციის ინიციატივითა და Microsoft-ის მხარდაჭერით განხორციელებულ ქსელური პროექტის დასკვით-შემაჯამებელ კონფერენციაზე მოხსენების წარდგენისთვის დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგ **მანანა ბეგიაშვილს** სერთიფიკატი გადაეცა.

თვალში საცემია: წარმატებული პედაგოგები მოსწავლეების წარმატებებს განაპირობებენ და ზემოქმედობენ, ზოგადად, სკოლის განუხრელ წინსვლაში, დირექტორის ხელმძღვანელობით (დირექტორის მოადგილეები – გამოცდილი პედაგოგები და ორგანიზატორები: **იოსებ ხუნაშვილი**, **მარინე ცაბაძე**), ძალზე დიდია მთელი პედაგოგების დამსახურება.

მასწავლებლები განუხრელად ზრუნავენ ინდივიდუალური ოსტატობის ასამაღლებლად, რასაც ფასილიტატორები: **ცისანა ნიქარიძე**, **გულნაზ ძიძიგური**, **გვანცა შაყულაშვილი** და **ირმა სოყურაშვილი** ხელმძღვანელობენ. მათ სპეციალური მომზადება გაიარეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში.

სკოლაში მასწავლებელთა მუშაობა გუნდურ-ინდივიდუალურია, რასაც ძალზე უწყობს ხელს საგნობრივი კათედრების ურთიერთშეთანხმებული, მიზნობრივი მუშაობა, რაც მთელ კოლექტივს მოიცავს. სახელმწიფო

ენის (ხელმძღვანელი – **ციცინო ნედელაშვილი**); საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების (**ქეთევან მახარაშვილი**, **გულნაზ ძიძიგური**); დაწყებითი საფეხურის (**მაკა ხუჭუა**); უცხო ენების (**სოფიო ლანჩავა**); მათემატიკის (**მზია გელოვანი**); ესთეტიკისა და ფიზიკური აღზრდის (**ლარისა იაკობიშვილი**) კათედრებმა შეიმუშავეს პრიორიტეტული მიმართულებები: საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნების კოორდინირება; ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება. დასახეს პედაგოგთა პროფესიული განვითარების გზები...

სკოლაში ცხოვრების ჯანსაღი წესია დამკვიდრებული, რასაც ფიზკულტურისა და სპორტის მიმართ სერიოზული, შემოქმედებითი მიდგომაც განაპირობებს.

ერთობ სასიამოვნოდ განცვიფრებული დავრი, როცა მაგიდის ჩოგბურთში ამ სკოლელთა საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებების შესახებ შევიტყვე: 2015-2016 სასწავლო წელს ისრაელში გამართულ მსოფლიო სასკოლო ოლიმპიადაში ოთხი მოსწავლე მეთერთმეტე ადგილზე გავიდა, რაც სპორტის ამ სახეობაში საქართველოსთვის უდამო წარმატებაა; ნლეულს კი მაღლაში გამართულ ასეთ-სავე შეჯიბრში **ლევან პავლიაშვილმა**, **ლაშა ლომიამ**, **თორნიკე თარხნიშვილმა** და **ბექა რაზმაძემ** მსოფლიოში მეექვსე ადგილი მოიპოვეს. მათ გერმანიის უძლიერეს გუნდსაც აჯობეს.

ამის მერე რაღა გასაკვირია, რომ 15 აპრილს გამართულ საქართველოს ჩემპიონატში **ლევანმა** და **ლაშამ** ოქროს მედლები დაიმსახურეს, **აკაკი გაბიციანიშვილმა** და **ცოტნე ქობალიამ** კი – ვერცხლისა.

მაგიდის ჩოგბურთი სპორტის ოლიმპიური სახეობაა, ამიტომ მისი ოლიმპიური კომიტეტიც უთუოდ გვექნება, მაგრამ, სამხუხაროდ, ჯერჯერობით, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი სპრტსმენების ჩამიჩუმიც



არ ისმის. ჯერჯერობით-მეთქი, რადგან 90-ე სკოლელთა ასეთი წარმატებები იმედს იძლევა, რომ ახლო მომავალში სპორტის ამ სახეობაშიც გვეყოლება სახელგანთი სპორტსმენები.

90-ე სკოლა, მისი ხელმძღვანელობა და პედაგოგთა კოლექტივი მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა და არც დაკმაყოფილდებდა. მუდმივი წინსვლა ხომ განვითარების უცილობელი პირობაა და მჯერა, გამოხდება ხანი და კვლავაც შევიტყობთ სკოლის ახალ წარმატებებზე ყმანელების სწავლა-აღზრდის რთულსა და საპატიო გზაზე. აუცილებლად შევიტყობთ, რადგან 90-ე სკოლაში „პურს მე-პურეები აცხოებენ“.

**კონსტანტინე გურბენიძე**

# უსთებზე იღბა, დგას და იდგება საქართველო!

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: „მოღვაწე – პირი, რომელიც რამე საზოგადოებრივ მოღ-



ვაწევრობას ეწევა.“ „მოღვაწეობა – საზოგადო, საქვეყნო საქმისთვის განუღებელი შრომა, მუშაობა, მოქმედება.“

ქვეყანა – სამშობლო. ბიბლიით კი სამშობლო იქიდან დაიწყო, სადა პირველი წინაპარი დაიბარა. ამ საფლავმა მიაჯაჯვა ადამიანი იმ ადგილს, ამუშავა და ლოცვად დააყუდა. აი, იქიდან, ათადან-ბაბადან მოყოლებული, ყოველი ადამის ძის ღვანლი იმით ფასდებოდა თუ რა მიიტანა მან ქვეყნის სამსხვერპლოზე, რა არგო სამშობლოს და მოყვასს... კი, ბევრი ღირსეული ვერ დააფასეს თანამედროვეებმა, მაგრამ ხალხი ბრძენია და მაინც მიაგებს ხოლმე მისაგებელს ერის გამორჩეულ შვილებს.

დიდება უფალს, ასეთები – ჭეშმარიტი მოღვაწეები მრავლად გვყვლია. სწორედ ასეთებმა შეგვიწარმოეს „მამული, ენა, სარწმუნოება“, გადასვენება-გადაჯიშებას გადაარჩინეს ქართული ჯიში და ჯილაგი, სწორედ ასეთებზე იდგა, დგას და იდგება კიდევ საქართველო.

ყოველ მოღვაწეს თავისი ასპარეზი აქვს და რაოდენ უხვად დააბერტყა მათ უფალმა კალთა თავისი, რაოდენი ნიჭითაც მადლყო, იმდენადვე დაავალდებულა, ეს წყალობა ქვეყნისთვის, ხალხისთვის მოეხმარა სახარებისეული უსასყიდლოდ მოგეცათ და უსასყიდლოდ გასცემდეთოს შესაბამისად.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი მადლმოსილი, ქვეყნის მსახურებად ცხებული გახლავთ პიროვნება, ვისშიც ჰარმონიულად შეირწყა დიდი მეცნიერული ნიჭი, კაცურკაცობა, ვისთვისაც მიუღებელია უმადურობა და ღალატი, ვინც ცხოვრების მიზნად ილიანეული „აბა, დღეს მე ვის რა ვარგე“ დაისახა: საქართველოში კოორდინაციული ქიმიის მეცნიერული სკოლის დამაარსებელი და მეთაური, მკვლევართა და სპეციალისტთა მრავალი თაობის აღზრდელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოსა და უკრაინის

სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ივანე ჯავახიშვილისა გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლებით დაჯილდოებული, ღირსების ორდენის კავალერი, აშშ-ის ბიოგრაფიული ინსტიტუტის ვერცხლის მედლის მფლობელი, დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მეცნიერ-მკვლევარი გივი ცინცაძე, ვისაც 18 აპრილს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

დიდი პიროვნების, დიდი მეცნიერის, მკვლევარის ცხოვრების გზა, ნაღვანი მდინარის დელტასა ჰგავს: ნიჭი, მისწრაფება ერთ კალაპოტში ვერ ეტევა, გაიტოვება, ხოლმე, მაგრამ ბოლოს მაინც გამთლიანებული შეუერთდება ხოლმე ოკეანეს საკაცობრიო ცოდნის საგანძური რომ ჰქვია.

ბატონი გივის მეცნიერული მოღვაწეობის დიაპასონიც ერთობ ფართოა: არაორგანული, კოორდინაციული, კვანტური ქიმია, ქიმიის ისტორია, რაც 500-ზე მეტ შრომაში, გამოკვლევებში, მონოგრაფიასა თუ სახელმძღვანელოში აისახა. მისი კვლევის ძირითადი მიმართულება კოორდინაციული ნაერთების სინთეზის ახალი მეთოდების შემუშავება და მათი კრისტალო-ქიმიის შესწავლაა. ამ ბაზაზე შექმნა კოორდინაციული ქიმიის არსებითად ახალი დარგი – ლითონების ფსევდოპალიგენდური კომპლექსების ქიმია. შთამბეჭდავია გამოკვლევები ბიოარაორგანული ქიმიის დარგში, რამაც მყარი საფუძველი შეუქმნა ბიოლოგიური აქტივობის არსის გაგებას. ამ გამოკვლევებმა ძალზე შეუწყო ხელი მრავალი ბიოკოორდინაციული სამკურნალო პრეპარატის შექმნას; დიდია ბატონი გივის წვლილი ახალი ტექნოლოგიების დანერგვაშიც. მისი აღზრდილები ნაყოფიერად შრომობენ საქართველოს, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, აშშ-ის, გერმანიის, კანადის, ახალი ზელანდიისა და თურქეთის ნამყვან სამეცნიერო ცენტრებში.

თუ სათავე ანკარაა, ნყაროც ანკარა მონაწილეობს. ასეა ცხოვრებაშიც. ხომ ვამბობთ ოჯახიშვილიაო, რითაც პატივისცემას გამოვხატავთ ამა თუ იმ ოჯახის მიმართ. ასეთ ტრადიციულ, ინტელიგენტურ ოჯახში აღიზარდა ბატონი გივი. იქ ჩაყარა საფუძველი ეროვნულ ფასეულობათა, სამშობლოს სიყვარულისა და ქვეყნის მსახურების მისეულ აღქმა-გაგებას.

ასეთ ოჯახში დაიბადა 1933 წლის 18 აპრილს თბილისში. ოქროს მედალზე დაამთავრა სამშალო სკოლა და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე განაგრძო. სტუდენტობიდანვე გამოვლინდა მისი ნიჭი,

შრომისმოყვარეობა, დასახული მიზნისკენ განუხრელი ლტოლვა. 1965 წელს დაამთავრა ნ. კურნაკოვის სახელობის მოსკოვის ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის ასპირანტურა და საკანდიდატო დისერტაციაც დაიცვა. 1968 წელს სადოქტორო დისერტაციის დასამთავრებლად მიავლინეს შვეიცრის სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანული ქიმიის კათედრაზე. სწორედ იქიდან იღებს სათავეს ქართველ და უკრაინელ ქიმიკოსთა ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, რამაც უდიდესი როლი შეასრულა ამ ქვეყნებში ქიმიის განვითარებაში. 1971 წელს ბატონმა გივი ცინცაძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ბუნებაში ერთნაირად დამუხტული ნაწილაკები, სხეულები განიზიდება, მაგრამ, განგების ნებით, ცხოვრებაში ერთი მრწამსით, მისწრაფებით, სულიერი და ზნეობრივი თვისებებით მონათესავენი მიიზიდებიან. ღვთის ნებით ხვდებიან ერთურთს და ერთ სულ და ერთ ხორც მიუყვებიან სავალს. ასე შეახვედრა განგებამ ბატონი გივი და ქალბატონი ანა ნარიშანიძე – ბიოორგანული ქიმიის სპეციალისტი,

საამაყო შვილები გაზარდეს. ქალბატონი მაია ქიმიის მეცნიერებათა ყველაზე ახალგაზრდა დოქტორი გახლდათ საქართველოში. იგი პროფესორი, ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის დეპარტამენტის უფროსია.

ქალბატონი თამარი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის დეპარტამენტის უფროსია.

შვილი – შვილია, მაგრამ ოჯახი უფრო მეტად დულაბდება, როცა სისხლისმიერს პროფესიულ მისწრაფებათა ერთობაც ემატება.

შვილიშვილებმა სხვა გზები აირჩიეს. ოთარ გველესიანი იურისტი, გივი გველესიანი – მშენებელი, მიხეილ ხასაია – ეკონომისტი. ღირსეული ოჯახების ღირსეული შვილები ღირსეულად ვლიან ცხოვრების გზაზე.

არ არის, ბატონებო, გენეტიკა ცრუ მეცნიერება, რასაც გაჰკოდნენ საბჭოთა ვაიმეცნიერები და მერე ამ დარგში მაჩანაწლები აღვმოჩნდით!

ბატონი გივი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ტექნიკური უნივერსიტეტის ანალიზური და ზოგადი ქიმიისა და არაორგანული ქიმიის კათედრებს. 1992-1995 წლებში იყო

ფიერ სამეცნიერო-კვლევითა და პედაგოგიურ მოღვაწეობას. არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი; მრავალი სამეცნიერო კონფერენციის, სესიისა და ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; ჟურნალების: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს“ (ქიმიის სერია), „საქართველოს ქიმიური ჟურნალის“, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომების სარედაქციო კოლეგიათა წევრი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სრული პროფესორი. უკრაინელ კოლეგებთან ერთად, მოამზადა და ქართულ ენაზე გამოსცა ფუნდამენტური, კლასიკური სახელმძღვანელო „კოორდინაციული ქიმია“.

გვონებ, აკადემიკოსმა ბლოხინმა თქვა, მეცნიერება სახელმწიფოს ხარჯზე საკუთარი ცნობისნადილის დაკმაყოფილებათა. სავარაუდოდ, ასე იხუმრა, რადგან კარგად მოეხსენებოდა, რამდენ მეცნიერს გაუღია უკანასკნელიც მიზნის მისაღწევად, რაც კაცობრიობას გამოადგებოდა და თავიც გაუწირავს.



ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის მუშაკი.

უახლოესი მეგობარი 1991 წელს გამოეცალა ხელიდან ბატონ გივის.

პირადი ტრავედია ქვეყნის ძნელბედობას დაემთხვა – ომი, ძმათა შუღლი, ძარცვა-გლეჯა, სიბნელე, შიმშილი, მაგრამ მეცნიერი, მკვლევარი, პიროვნება და მოქალაქე ჭირსა შიგან გაუმაგრდა და გაძლიერებული შემართებით განაგრძობდა საქმეს, რასაც სიცოცხლე უძღვნა. მისთვის ფიზიკის კანონი – რაც მეტია დაწოლა, მით მეტია წინააღმდეგობაცო, ცხოვრებისეული კრედი იყო.

შვილების თანადგომამ შეუმსუბუქა ერთგული თანამგზავრის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება. მართლაც

უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი. შეთავსებით ხელმძღვანელობდა ვ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კომპლექს-ნაერთების ქიმიისა და რ. აგლადის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის არაორგანული ნაერთების ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორიებს. კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ამავე უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში.

70 წლის იუბილეზე ასე უხუმრია: ორჯერ 35 წლისა ვარ, ესა და ისეო. ახლაც – რა? თითოეულ 35-ს სულ რაღაც 7,5-7,5 წელი შეემატა. ჰოდა, დიდი მეცნიერი კვლავ განაგრძობს აქტიურ და ნაყო-

მჯერა, საქმე-საქმეზე რომ მიმდგარიყო, ბატონი გივი ცინცაძე სწორედ ასე მოიქცეოდა. ასე მოიქცეოდა, რადგან აქა დგას და სხვაგვარად არ ძალუძს.

ქიმია ალქიმის „პირმშოა“. ალქიმისთვისა სანუკვარი ოცნება ოცნებადვე დარჩა – ვერა და ვერ მიაგნეს ფილოსოფიურ ქვას.

ბატონ გივის ფილოსოფიური ქვის ძებნა არ დასჭირვებია. იგი მის შინაგან მრწამსში იდო – სამშობლოს მსახურება, ღირსეულ ოჯახში ღირსეული შვილების აღზრდა. აი, მისი ანი და ჰაე. სწორედ ასეთ ადამიანებზე იდგა, დგას და იდგება კიდევ საქართველო!

კონსტანტინე გურბენიძე

ფიქრები უმჯობეს თემაზე

# ღიანღიანოსილი პედაგოგის ბუნისტაქივილი



ბოლო დროს სკოლებში თავჩენილ ძალადობის ფაქტებს დამსახურებული პედაგოგი **ჟუჟუნა კოჭლაშვილი-შიუკაშვილი** ეხმაურება და პრობლემის მოსაგვარებლად საკუთარ მოსაზრებას გვიზიარებს, საინტერესო რჩევა-დარიგებებს გვთავაზობს.

\*\*\*

**პედაგოგებო და მოსწავლე-ახალგაზრდებო, გაუფრთხილდით ღმერთის საჩუქარს - სიცოცხლეს!**

ღმერთმა და ბუნებამ ყველა ცოცხალ არსებას გაჩენისთანავე დაანათლა თავდაცვის საშუალებები. სამწუხაროდ, მოგვიანებით ჩხუბისა და ომებისთვის, ყველანაირი იარაღი, თავად ადამიანებმა გამოიგონეს... არადა, ხატონად რომ ვთქვათ, მზე და მთვარეც აღარ ჩხუბობს ვარსკვლავებისთვის, მათ ისინი უკვე გაინანილეს და თავიანთ ფუნქციას ასრულებენ. მწერები, ფუტკრები არა გონებით, არამედ ინსტიქტებით მოქმედებენ, შრომობენ, თავიანთ სარჩოსაც ქმნიან და ჩვენც გვინანილებენ სამკურნალოდ პროდუქტს — თაფლს. მათი ფუსფუსი სიმღერას ჰგავს:

„ყვავილიდან ვწუნით ნექტარს, თან გადაგვაქვს მისი მტვერი, და თუ ვინმე შეგვანუხებს ნესტარია მისი მტერი.“

ადამიანების თავდაცვის, ნამდვილი ვაჟკაცების მტერზე თავდასხმის საშუალება კი, კარგად განვითარებული კუნთებია და არა იარაღი. მითუფრო, ბასრი იარაღი - დანა.

პედაგოგებო და მოსწავლეებო! ადამიანების ცხოვრება არასოდეს ყოფილა „ია-ვარდით მოფენილი“ და იოლი. მაგრამ „თუ გავყვებით ბუნებას, რო-

გორც ხელმძღვანელს, გზა არასოდეს აგვებნება“ (ციცერონი). დედამინაზე სიცოცხლისათვის ისედაც ცოტა დროა, ამიტომ ეს პერიოდი, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ გონივრულად, სწავლისა და შრომისათვის, რაც მთავარია, ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების, გალამაზების და აღორძინებისთვის.

მართალია საქართველო, როგორც პატარა ქვეყანა, მსოფლიოში ბევრი კარგი ტრადიციით არის სახელგანთქმული, მაგრამ ზედმეტი არ იქნება, თუ წარმოაჩინთ თქვენს სამშობლოს სამაგალითო და სანიმუშო საქციელთ, თუნდაც ანდაზებით:

„ზოგი ჭირი მარგებელია“, „ვინც მოითმენს, ის მოიგებს“, „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“, „თვალი თვალს, რომ მოსცილდება, გულიც გადასხვაფერდება“, „კალმის წვერს ხანჯლის ძალა აქვსო“...

ასევე, გვაქვს სხარტულები და შესანიშნავი გამონათქვამები, მაგალითად ერთ-ერთი მათგანი სრულად შეესაბამება ქვეყანაში, კერძოდ, დედაქალაქში მიმდინარე პროცესებს: „ცუდია, როცა შენს წინაშე პრობლემების რიგია, მაგრამ უფრო ცუდია, როდესაც ისინი ურიგოდ მოძვრებიან“. პედაგოგებო და მოსწავლეებო! სანყენად ნუ მიიღებთ, მაგრამ ეს „ურიგოდ შემოპარული პრობლემები“, საქართველოს მრავალ პრობლემათა შორის, სწორედ თქვენზეა მინიშნებული...

ნათქვამია „ჭემმარითი პედაგოგი ყველა ეპოქაში გმირია“... თუმცა, ფაქტია, რომ 21-ე საუკუნეში საჯარო სკოლებში, პედაგოგის მუშაობა სწავლა-აღზრდის მიმართულებით ძალიან გართულდა. მოსწავლეების ყურადღება გადატანილია კომპიუტერთან

დიდხანს დროის გატარებაზე. თანამედროვე ტექნოლოგიები, კომპიუტერი, ინტერნეტი, ტელევიზორი — აი, მიზეზები მოსწავლე-ახალგაზრდობის სიზარმაცის, უყურადღებობის, გამდიდრების მანიით დაავადებული ადამიანების მომრავლების... „გარეთ მხდალი, შინ ძლიერი ბიჭების მიერ მასობრივად დანის ქნევის, ჯინსებისა და დასავლეთზე მეოცნებე ახალგაზრდების რაოდენობის ზრდის; ახალგაზრდის, რომელიც თვითმფრინავსაც გაიტაცებს, ტერორიზმსაც არ დაერიდება, ოღონდ თავისი ხოში გაისწოროს“-წერს ბიზნესმენი **ლევან ვასაძე** გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (N 1 (1206) 7 იანვარი 2018წელი).

სამწუხაროდ, რაც ძვირფასია ქვეყანაში, ყველაფერი ნადგურდება შიდა „ომების“, თანამდებობის მქონე პიროვნებებსა თუ ბავშვებს შორის დაპირისპირების გამო.

მიმაჩნია, რომ 3 წლის ბავშვი უკვე პიროვნებაა... და თუ ვერ ჩამოყალიბდა პიროვნებად ანუ თავი ვერ შეიცნო ადამიანად, ეს მშობლების, ქვეყანის, საკუთარი დედის ბრალია... დედობა და პედაგოგობა საპატიო, რთული და ღირსეული, პასუხისმგებლობით სავსე პროფესიაა. მათზე ბევრი რამ მეტყველებს, მათ შორის, გაზეთ „ახალი თაობის“ (N287 (7522) 4 დეკემბერის პირველ გვერდზე დაბეჭდილი) სტატიები: 51-ე სკოლის საპირფარეოში იარა-



ღის დამიზნება ხორავას ქუჩაზე მე-11 კლასის ორი მოსწავლის მეკვლეობით დასრულდა.

ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე**: „ბავშვებში ძალადობა განათლების დაბალი დონის ბრალია.“

ქართული ანდაზაა: „**კარგი პურის გამოცხობა თონიდან კი არა ვარცლიდან იწყება**“... დიას, ბავშვის აღზრდა დედის მუცლიდან, კერძოდ, საშვილოსნოდან იწყება.



სამინელებია, როცა საქართველოს დედაქალაქში ხდება გონებისათვის მიუწვდომელი, ძნელად წარმოსადგენი, დანებით მკვლელობის, უფრო სწორად, სკოლის მოსწავლეების მიერ თანატოლების დანით დაჩეხვის შემთხვევები, რასაც „ყასაბურად მოკვლა“ ჰქვია.

შემამოთვებელია სტატისტიკა და გამოკვლევებიც, რომლითაც დაკავებული არიან სკოლის პედაგოგები, მშობლები, ფსიქოლოგები და პოლიტიკოსები. ისინი ზოგან ამბობენ: „ქართველები ცოტანი ვართ და გამრავლება საჭირო“, მეორენი მღერიათ: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“. კი ვეთანხმები ამ ორ გამოთქვამს - იქნებ სწორია, მაგრამ მაინტერესებს ის ქართველები, რომლებიც სიყვარულისა, სიკეთისა და სიცოცხლის პატივისმცემელ შეილებს ვერ ზრდიან, რა სინდისით ამბობენ ამას?

ჩემი ორმოცწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საჯარო სკოლაში, ვმუშაობდი ქიმიკი-ბიოლოგიის მასწავლებლად, კლასის ხელმძღვანელად, ბიოლოგიის წრის ხელმძღვანელად, ქიმიკი-ბიოლოგიის მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელად. მუშაობის პროცესში რა სირთულეებს არ შევხვედრივარ, ძნელად აღსაზრდელების მეტი რა იყო მაშინაც, მაგრამ ბავშვებს ერთმანეთი უყვარდათ და ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ახლა რა ხდება? ერთმანეთს სასიკვდილოდ იმეტებენ?!

ბოლო პერიოდში გავრცელებულ ინფორმაციას და ამ წარმოუდგენელ ტრაგედიებს,

პენსიონერი მასწავლებლის აზროვნება ვეღარ პასუხობს. ამიტომ, ხალხის საყვარელი ფსიქოლოგის **რამაზ საყვარელიძის** სტატიამ, ყველა კითხვაზე გაცემულ პასუხებს ვეთანხმები: **დიას, „განათლებისა და აღზრდის გარეშე კარგი ოჯახი არ არსებობს“.**

მიმაჩნია, რომ დიაგნოზის დასმას გამოკვლევა სჭირდება და შემდეგ ნამალი. საჭიროა ამოქმედდეს საზოგადოების კვლევის ინსტრუმენტები: „ფილოსოფია, ფსიქოლოგია და სოციოლოგია“. სკოლაში კი, მოსწავლეებმა პირველი კლასიდანვე კარგად უნდა შეისწავლონ ბუნებისმცოდნეობა, ზედა კლასებში კი - ადამიანი და ზოგადი ბიოლოგია. 1954 წელს თავისი დაბადების 75 წლისთავე დასმულ კითხვებს ასე უპასუხა მსოფლიოში განთქმულმა მეცნიერმა, გერმანელმა **ალბერტ აინშტაინმა**:

„მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ა დ მ ი მიდრეკილება მე გარე სამყარომ, ცხოვრებამ და საზოგადოების ზემოქმედებამ აღმიძრა. პირველ მსოფლიო ომში გაზეთი გამოიყენეს, მეორე მსოფლიო ომში ატომური ბომბი, მესამე მსოფლიო ომში რა იარაღს გამოიყენებენ არ ვიცი, მაგრამ მეოთხე მსოფლიო ომი დანებით იქნება“.

ამაზე ფიქრიც კი მზარავს. ყური მივაპყროთ სააღდგომო ეპისტოლედან **პატრიარქ ილია II-ის** რჩევებს აღზრდა-განათლების შესახებ და ცხოვრების სახელმძღვანელოდ გავიხადოთ იგი.

**ჟუჟუნა კოჭლაშვილი-შიუკაშვილი,**

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საჯარო სკოლის ქიმიისა და ბიოლოგიის ყოფილი პედაგოგი.

# ნერმეცების უწყური მარშენებელი



სუფლების შემდეგ კერძო სკოლაში მუშაობდა და 76-ე სკოლის მისი 20 მოსწავლიდან – 18 მასთან გადავიდა?! გათავისუფლების დროც რა მუხთლად შეურჩიეს.

აღდგენილმა პედაგოგმა მუშაობა – სათანადო ტესტები უკვე ჩაბარებული ჰქონდა – დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად განაგრძო 216-ე სკოლაში, 2014 წლიდან კი 131-ე სკოლის დირექტორია.

**თბილისის 131-ე სკოლა** ადრე რუსულ-სომხური იყო. ქართული სექტორიც კი არა ჰქონდა. 2010 წელს მას 201-ე სპეციალური სკოლა შეუერთდა, სადაც სპეციალური განათლების საჭიროების ბავშვები სწავლობდნენ. თანდათან იმატა ქართულმა ნაკადმა და ახლა სკოლა მთლიანად ქართულია.

მისი დირექტორი ქალბატონი **ხათუნა ენუქიძე** ხალისიანი და საქმიანი პიროვნებაა. ხალისიანი იმიტომ გამოკვეთე, რომ ქვეყნის ბედუკუღმართობა მის ცხოვრებაში ძალზე მტკივნეულად აისახა, მაგრამ სულით ვერ გატეხა და, თუმცა სამართალმა მაინც ჭამა პური, ფსიქიკა ერთობ სათუთი რამაა და მართლაც სულით ძლიერი უნდა იყო, რომ არა თუ არ გატყდეს, ყველა პიროვნული ღირსებაც შეინარჩუნოს.

დავაკონკრეტოთ: ქალბატონმა ხათუნამ 1996 წელს დაამთავრა მაშინდელი სულხან-საბას სახელობის პედაგოგიკის უნივერსიტეტის დანყოფილება განათლების მეთოდისა და პედაგოგიკის ფაკულტეტი. მუშაობა სპეციალობით დაიწყო თეთრიწყაროს რაიონის ენაგეტის სკოლაში. შემდეგ – თბილისის 76-ე სკოლა. 2009 წლის პირველ სექტემბერს კი... სამსახურიდან გაათავისუფლეს. განათლების სამინისტროს კომისიამ, ხელისუფლება რომ შეიცვალა, განიხილა მისი საკითხი და დაადგინა, რომ ის პოლიტიკური ნიშნით გააძევეს სკოლიდან. სხვა რა უნდა გამოეჩინათ პედაგოგისთვის, ვინც გათავი-

უცნაურია, მაგრამ სამეურვეო საბჭომ ფაქტობრივად უცნობი პიროვნება აირჩია დირექტორად.

ზუსტი არჩევანი იყო, გაუმართლათ ალლომ?

ორი, ერთმანეთისგან გამომდინარე ფაქტი: 2014 წლიდან სამიოდ წელიწადში მოსწავლეთა რაოდენობა 630-დან – 900-მდე გაიზარდა.

როგორ? უპირველესად, ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა. უფრო ზუსტად – აღდგა. განათლების სამინისტრომ ფასადს მიხედა, რომ არ შეიხედებოდა. სკოლაში კი თავისი ბიუჯეტით გაარემონტა საკლასო ოთახები, გახსნა ლაბორატორიები. ამის გაკეთება ხომ ადრეც შეიძლებოდა? მაგრამ, აი, სწორედ აქაა პიროვნების ფაქტორი. მოვიდა ის, ვინც მონდომა და თავი დაადგა საქმეს. გასაკეთებელი კიდევაა, მაგრამ ქანი აღებულა, არის მიზანდასახულობა და ყველაფერი აუცილებლად მოწესრიგდება. მით უფრო, თანხის შემოსვლის გზაც გამოინახა – სკოლას გაქირავებული

აქვს ფართი რაგბისა და ქორეოგრაფიის წრეებისთვის. სკოლას შემოსავლის ოფიციალური წყარო აქვს, ყმანვილები კი ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევენ, ესთეტიკურად იხევენებიან.

გამოიკვეთა: სკოლა პასიურად კი არ ელის გარედან დახმარებას, არამედ აქტიურად, გააზრებულად ეძიებს და ჰპოვებს კიდევ ინფრასტრუქტურის გასაძლიერებელ გზებსა და საშუალებებს, რაც, საბოლოოდ, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესების მტკიცე საწინდარია.

მამ, გამართლებია 131-ე სკოლას დირექტორით. ამას მცოდნე, გამოცდილი, მონდომებული პედაგოგებიც დაფურთოთ (46 პედაგოგიდან – 19 სერთიფიცირებულია), ვისი მიზანიც ქვეყნისთვის ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი, მცოდნე თაობების არზრდაა და, ცხადია, მშობლებიც იქ მიიყვანს შვილს, ვისაც ენდობა.

სკოლის განვითარების საფუძველი კათედრებზე განეული მუშაობაა. ისინი ურთიერთშეთანხმებულად, გამიზნულად საქმიანობენ და ეს მუშაობა სკოლის ყველა პედაგოგს მოიცავს.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ (ხელმძღვანელი – **ინგა რუსია**); მათემატიკისა და ისტ-ისამ (**ნანა ფორცხალავა**); უცხო ენებისამ (**ლია პაპაშვილი**); საზოგადოებრივი მეცნიერებისამ (**მზია გოგოლაძე**); საბუნებისმეტყველო მეცნიერებისამ (**მანანა მაისურაძე**); ესთეტიკისა და სპორტისამ (**ლია მესტიერიშვილი**); დანყოფილებისამ (**ხათუნა კვიციანიძე**) შემოქმედდა მუშაობის



პრიორიტეტული მიმართულებები: საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნების სწავლების კოორდინირება; ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, პროფესიული განვითარების გზების დასახვა.

მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი პროფესიული განვითარების სქემაში და განუხრელად ზრუნავენ თვითგანვითარებისთვის. ადმინისტრაციამ ყოველმხრივ უწყობს ხელს პედაგოგთა პროფესიონალურ ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

დირექტორთან ერთად ამ პროცესებს უნარიანად ხელმძღვანელობს მისი მოადგილე – ქალბატონი **თამარ მაჭარაშვილი**. დირექტორი, კლასების ხელმძღვანელები, მანდატურის სამსახური, მშობლები ერთობლივად ზრუნავენ ყმანვილებისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. მშობლები ყოველთვის ინფორმირებული არიან შვილების სწავლისა და ყოფაცქცევის თაობაზე.

ამაში უფროსებს მოსწავლეთა თვითმმართველობაც ეხმარება. მისი ინიციატივითა და ადმინისტრაციის მხარდაჭერით მრავალი საინტერესო, აქტიუალური ღონისძიება გაიმართა, რაც ამრავალფეროვნებს სკოლის ცხოვრებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინკლუზიურ სწავლებას. ამას განათლების სამინისტრო დიდ ყურადღებას აქცევს. სპეცპედაგოგებს, ფსიქოლოგს, მთლიანად პედაგოგებს გასიგრძეგანებული

აქვთ ასეთ ბავშვებთან მუშაობის სირთულე, სპეციფიკა და შესაფერისად ირჯებიან კიდევ. არის წესისა და რიგისამებრ გამართული ორი რესურსოთახი, სადაც ინკლუზიური სწავლების საჭიროების მქონე 33-ვე ბავშვთან ინდივიდუალურად მუშაობენ. ყმანვილებს თავისუფალი დასწრების განრიგი აქვთ. ანუ, მშობლებს ისინი დღის ცენტრებშიც დაჰყავთ და სკოლაშიც. ეს ბავშვებისთვის ძალზე კარგია, რადგან დღის ცენტრებში მთელი ყურადღება მათზეა კონცენტრირებული, რაც საჯარო სკოლებში ვერა და ვერ მოხერხდება, მაგრამ სკოლებში ისინი, სხვა თანატოლებთანაც ურთიერთობენ, რაც გააადვილებს მათს საზოგადოებაში ადაპტირებას.

სკოლას მედლის ორი კანდიდატი ჰყავს, მაგრამ პედაგოგთა გამოცდილება და მოსწავლის სიბევითე ათქმევინებთ, რომ XI კლასშიყვა გამოკვეთილად მედლის კანდიდატი. მოქმედებს ეკო, სამოქალაქო განათლებისა და ნორჩ ხელოვანთა კლუბები. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ყველა ოლიმპიადასა და კონკურსში და წარმატებულადაც აღწევენ.

გვეჯერა, 131-ე საჯარო სკოლის მთელი კოლექტივი კვლავაც ჩვეული შემართებით წარმართავს მუშაობას და მათი აღსაზრდელების რაოდენობაც განუხრელად იმატებს, რაც სკოლის წარმატების ერთი, მაგრამ უტყუარი მაჩვენებელია.

კოტე სარალიძე



\*\*\*  
**კესარია და კონსტანტინე**

**მშობრბ**

ეს კუდრაჭა კესარია, ჩვენი ეზოს მერცხალია, დახტის, დაქრის, მღერისო, შინ მამიკო ელისო!

**შხობრბ**

**კესარიას** უხარია, ახლა უკვე დიდი ვარო, დათვლაც ვიცი, კითხვაც ვიცი, ხვალ სკოლაში მივდივარო.

**ღიანახლისი**

**აალაგა** თეფშები, დედამ არ დამასწროსო, – მეც ხომ დიასახლისი ვარ, დავალაგებ საწოლსო.

**კონსტანტინე**

**კონსტანტინე** ხომ კაცია, მარდია, თან მამაცია, გუშინ ეზოში ჩავვირგო, ვაშლის ხე და აკაცია.

## ცუროდ ენებს გულო უნდა გავუხარო!

იხვ ნაირა ნიშარამი

**აღდგომა**

დღეს ვესტუმრეთ ბებიას, გაახურა კეცები, აღდგომა დღეს მოგვართვა სულ წითელი კვერცხები.

**ძაღლი**

„ბრაზო“ ჩვენი ძაღლია, ჯერ არ არის ხნიერი, ძვალი უყვარს, მივართვით, არ დავტოვებ მშიერი.

**ქუთაისი**

აქ მდინარე რიონია, სულ მზიანი ალაგია, ქუთაისი ლამაზია, მშობლიური ქალაქია!

**წინაპრები**

**საფლავი** მოვინახულეთ, ვინაც განვლო ეს ცხოვრება, ჩვენი ბებო და ბაბუა, მე მუდამ მეხმასოვრება.

**წიგნები**

**მამამ** მორათვა ბიჭუნას, ფერადი წიგნები, – იკითხე, კარგად ისწავლე, დიდი ვაჟკაცი იქნები!

**მამიდა**

**ბავშვებზე** ზრუნავს მამიდა, მასწავლებელი ქალია, – რამდენი წიგნი გვაჩუქა, ზღაპრები უყვარს ძალიან!

**თოფი**

– **მამიკომ** თოფი მიყიდა, თვითონ მაზარა ჩაიცვა, – გაიზრდები და იცოდევ, სამშობლო უნდა დაიცვა!

**მომღერალი**

**ურავს** პიანინოზე, კოტე კარგად მღერის, მერე ჩანთას ალაგებს და სკოლისკენ, ჰერი!

**სტუმართმოყვარე**

**დაგპატიუებთ**, მობრძანდით, სოფელი გვაქვს, გეგუთი, იქ ფისოა, მურიაც, ბოჩოლაც ჩვენ გვეკუთვნის.

**ბაბუა**

**ხელმარჯვა** ბაბუა, ნაღვან – ნამამაგარი, წუხელ ბლომად მოგვიყვა ლექსები და ზღაპარი.

„სინათლეში“ მუდამ შუში და სიხარულია

# დედობრივი მზრუნველობით იზიარებენ



ვაშლიჯვარში, მარშალ გელოვანის გამზირის N4-ში, თბილისის პროფესიული სწავლების ცენტრ „იკაროსის“ შენობაში აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლა და საბავშვო ბაგა-ბაღი

გიურ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე და ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგად მუშაობდა სოხუმსა და თბილისში. 45 წელი ბავშვებთან რომ გაატარო, ისინი მართლა ძალიან უნდა გიყვარდეს და ქალბატონ მზიას ამაში მართლაც ვერავინ შეეძრება. უდიდესი ტრაგედიის შემდეგ, როდესაც მისი მეუღლე, მაიორი ამირან კოლოჩევი (ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით დაჯილდოვებული), ერთ-ერთი პირველი დაიღუპა სოხუმის ომის დროს, ქალიშვილთან და მოხუც მშობლებთან ერთად სამშვიდობოს გამოაღწია, სულით არ დაცემულა და ფეხზე წამოდგომაც ამაყად შეძლო.

აფხაზეთის განათლების სამინისტროს თანადგომით ასევე თბილისის მერიის ზრუნვით გახსნილ ბაგა-ბაღში ყველაფერი მოწესრიგდა.

ყველაზე მთავარი აქ აღსაზრდელების სკოლისათვის მზადდება. პროფესიონალი, თავიანთ საქმეზე შეყვარებული და ბავშვებზე გადგება ალმზრდელი პედაგოგები - თამარ კვარაცხელია და ქეთევან კვარაცხელია, საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ მონოდეტის სპეციალური პროგრამის მიხედვით, პატარებისთვის საჭირო უნარჩვევების ჩამოყალიბებასა და დამოუკიდებელი აზროვნების, მეტყველების განვითარებაზე ზრუნავენ.

ალმზრდელ-პედაგოგებს ერთგულად უდგანან მზარში ალმზრდელის თანამშენებლები - ლანა კვარაცხელია და მზია თოდუა, რომელთა შრომაც მეტად დასაფასებელია. იოლი როდია, ერთდროულად მოუარო პატარებს და დედობა გაუწიო, რომელთაგან ზოგს ეძინება, ზოგს წყალი უნდა, ზოგი კი უბრალოდ, ხელში აყვანას და მოფერებას ითხოვს. ყველა ასაკობრივ ჯგუფში, თუ პატარას კომუნიკაციის პრობლემა აქვს, ან ადაპტაცია გაუჭირდა, დაუზარებლად ერთვება საქმეში და თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალურად მუშაობს ფსიქოლოგი ხატია სიმონიშვილი.

ყოველდღიურად ახდენს აღსაზრდელებზე დაკვირვებას და დედასავით ზრუნავს ჯანდაცვისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი ანა კალანდრიშვილი.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი დატვირთული და ხალისიანია. სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებზე, ცეროდენებში მუსიკალური გემოვნების აღზრდასა და ზეიმების

უზადოდ გაფორმებაში, დიდია ღვაწლი მუსიკის პედაგოგ სოფიო ბერაიასი.

დირექტორს აქტიურად უდგანან მზარში მისი მოადგილე ნინო მანეიშვილი და საუკეთესო სპეციალისტი, საქმისმწარმოებელი ნანული კვარაცხელია.

საბურთალოს რაიონის გამგეობის დაფინანსებით, 3 წლის წინ, ქალბატონი მზია სხვა 15 დირექტორთან ერთად სკოლა-ამდელთა აღზრდის ორგანიზაციის წევრად იმყოფებოდა ბერლინში. იქ მიღებული ცოდნა-



ქალბატონი მზია მაღალ შეფასებას აძლევს თანამშრომლების შრომას და მადლობას უხდის ყოველ მათგანს. ხოლო თავად მისი ოცნებაა, როდის დადგება მშობლიურ კუთხეში დაბრუნების დღე და ეს პატარები იმ სილამაზით დატკბებიან, რომელიც მხოლოდ ფოტოებიდან და მშობელთა ნაამბობებიდან იცნა.

მაღე აგსრულბოდეთ ეს ნატვრა!

ნათია გურბენიძე



გამოცდილებით, დირექტორმა საბავშვო ბაღში შექმნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარემო - დაკრძალული ჯგუფით ქათქათა ფარდებითა და თეთრულით, ფერეფებით, სველი წერტილებით, კეთილმოწყობილი სამზარეულოთი.

კვების პრობლემა მოგვარებულია. რაციონი საგრძნობლად გაუმჯობესდა. მზარეულ მაყვალა ნემსვერიძის მიერ დამზადებულ გემრიელ კერძებს პატარე-



ბი შინაც ხშირად ნატრობენ.

ბაგა-ბაღ „სინათლის“ აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ ბავშვთა შემოქმედების გამოფენა-ფესტივალებში, როგორცაა „პატარა ხელებით“, ბავშვთა დღის - 1 ივნისისადმი მიძღვნილ, თუ საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებაში, რისთვისაც არაერთი მადლობის სიგელით დაჯილდოვდნენ.

დირექტორი და აღმზრდელეები გახარებული არიან მერიის ყურადღებით. ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი კახაბერ გვანცელაძე ყოველმხრივ ეხმარება ბაგა-ბაღს.

## დავიცვათ ენა ქართული! რა ჭირად გვაქვს ბრმა შიშბუქვანობა?



ხალხში ასეთი კალამბური გავიგონე: „ეს თბილისი თბილისურად როგორ გაგვიინგლისურდა?“ აბა, დაიარეთ დედაქალაქის ქუჩები, უბნები: ჯერ თვალსაჩინოდ, უზარმაზარი შრიფტით ფასადებზე უცხოურ ნარწერებს ნაიკითხავთ. კი ბატონო, ამას კონიუნქტურა გვკარნახობს, მაგრამ უცხოური ტერმინის ქართული ასოებითაც იგივეს გამეორება რადაა? თარგმნე მაინც ქართულად, შე კაცო! მთლად ნუ დაეცემი, ღირსებას ნუ დაკარგავ, ქართველო!

„პრეზენტაცია“, „ტრეინინგი“ (ნალეკა ბეჭდური და სამეცხველო სივრცე) რად გვინდა, როცა გვაქვს მამა-პაპური „ნარდგენა“, „განხილვა“, „წერთნა“, ვარჯიში? „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!“ - 150 წლის წინათ გრავინავდა გრიგოლ ორბელიანი, ამის სამველად შექმნა

ახლახან მთავრობამ სახელმწიფო ქართული ენის დეპარტამენტი. იქნებ ამათ გვაგრძნობნოს შეგება. „მუნიციპალიტეტი“ თუ „რაიონი“. ეს ერთიდაიგივე არ არის, რომელიც აგერ უკვე მეხუთე წელია დაშვიდრდა სინონიმებად. სოფელ კოდას დასაწყისში უზარმაზარ რკინის ბოძს აწერია: „თეთრწყაროს მუნიციპალიტეტი“.

„მუნიციპალიტეტი“ გერმანული სიტყვაა და ნიშნავს ქალაქის თვითმმართველობას და აწერია შენობას, სადაც ადმინისტრაცია საქმიანობს. „რაიონი“ ფრანგულია, გეოგრაფიულ-ტერიტორიული ერთეული, სივრცე, რომელიც შედის მის შემადგენლობაში. მოდი და ნუ გაგეცინება, როცა ჟანგიან ბოძს და მასზე მიკრულ ფირნიშს ჰქვია თვითმმართველობა ან საკრებულოს შენობა!

საჯარო სკოლებში არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობა. რატომ თვითმმართველობა? მოდი თუ „მოსწავლეთა მუნიციპალიტეტი“ დავარქვით!

ინგლისურ ნარწერებს „ბლუს“ ქართული ასოებითაც რომ „ბლუს“ მიანერ, რა ჰქვია ამას? რა და, მშობლიური იავნანა უნდა დაივიწყო.

რა გვჭირს? უჭკუობის, ბრმა მიმბამძველობის სენი ასე ძალუმად შეგვეყარა? რატომ ვიმცირებთ და ვიხდით თავს სხვა ერების დასაცინად? გაუფრთხილდეთ ერის ღირსებას! გაუმარჯოს თავმოყვარეობას!

მოსე მწერალი

ნურ სამყაროში გგონია. აგერ უკვე 20 წელია ბალ წარმატებით უდგას სათავეში დირექტორი მზია ცაავა-კოლოჩევა. ქალბატონი მზია სოხუმელია. მთავარ რუსთაველის სახელობის პირველი სამშალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სოხუმის გორკის სახელობის პედაგო-



მთ. რედაქტორი  
ბორის მიშველაძე

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეზონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 597 765 810;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com  
ტელ: (032) 2 99 80 00  
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N7 (4566)  
25 აპრილი / 2018 წელი  
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113